

მზის წყალგამაცხდელის საექსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისათვის, აუცილებელია:

1. პერიოდულად (4-5 წელი) მზის წყალგამაცხდელის რკინის დეტალების დაფარვა ანტიკოროზიული საშუალებებით და სათანადო საღებავით;
2. ანტიფრიზის ყინვაგამძლეობის გადამოწმება და არასაიმედოობის შემთხვევაში მისი შეცვლა;
3. სასმელი წყლის შემადგენლობაში კალციუმის მარილების უხვად შემცველობის პირობებში, ნადებისაგან პერიოდულად (3-5 წელი) უნდა გაიწმინდოს თბოიზოლირებულ ავზში არსებული სპირალი (ნადები მნიშვნელოვნად აბრკოლებს ანტიფრიზისაგან წყლისათვის სითბოს გადაცემას), თბოიზოლირებულ ავზში შედგენა შესაძლებელია ავზის ქვემოთა ნაწილში მოთავსებული სარქველიდან, ე.წ. „ფლიანცის“ მოხსნის გზით.

სამახსოვრო

მზის წყალგამაცხდელის მფლობელისათვის

1. მექანიკურად არ დააზიანოთ მოწყობილობა, განსაკუთრებით გაუფრთხილდით მინას
2. მუდმივად მიაქციეთ ყურადღება გასაფართოებელ ავზში სითხის დონეს
3. საჭიროების შემთხვევაში (3-4 წელიწადში ერთხელ) შედეგით მზის ენერჯის მშთანთქმელში მოთავსებული ლითონის კონსტრუქცია. (კონსულტაციისათვის დაუკავშირდით ენერგოკოოპერატივ „ჩართე მზე“-ს სპეციალისტს 558941770)
4. წლის ნებისმიერი პერიოდისათვის მზის წყალგამაცხდელის ჩაკეტილ კონტურში ჩასხმული უნდა იყოს ყინვაგამძლე სითხე (ანტიფრიზი).



პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „საქართველოში თემზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვა ფშავის მაგალითზე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ატომური ენერგეტიკის სამინისტროსთან (BMU) თანამშრომლობით

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ. ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge



**მზის კოლექტორის
ექსპლუატაციის წესები და
კოლექტორის შესაძლო
გაუმართაობა**

მზის კოლექტორის ექსპლოატაციის სავალდებულო წესები

მზის კოლექტორის წარმატებული ექსპლოატაციისათვის:

1. დაუშვებელია მზის წყალგამაცხდელის ფიზიკური დაზიანება და ჰერმეტიზაციის დარღვევა;
2. ჩაკეტილი კონტურის გამაფართოებელ ავზში ანტიფრიზის დონე არ უნდა დაეცეს იმ მინიმუმამდე, რომელიც ჰაერს მისცემს ამ კონტურის ცირკულაციის არეალში მოხვედრის საშუალებას (ამ დროს წარმოიქმნება ჰაერის საცობი და შეწყდება ცხელი ანტიფრიზის ცირკულაცია, არ გათბება წყალი);
3. დაუშვებელია ზამთრისა და წლის სხვა ცივ პერიოდებში მზის წყალგამაცხდელის ექსპლოატაცია, თუ წყლის გასათბობად პარალელურად არ გამოიყენება ელექტროენერგია (ამ დროს თბოიზოლირებული ავზი და მილგაყვანილობა უნდა დაიცალოს წყლისაგან, ანტიფრიზი სისტემაში რჩება ხელუხლებელი).



„ჩართე მზე“-ს მიერ დამზადებული მზის კოლექტორის შესაძლო გაუმართაობები

შესაძლო გაუმართაობა	შესაძლო მიზეზი	მოქმედებები გაუმართაობის აღმოსაფხვრელად
დაზიანდა ფიზიკურად	სტიქია, ფიზიკური ზემოქმედება, გაუფრთხილებლობა	შეცვალეთ დაზიანებული დეტალი
თბოიზოლირებული ავზიდან არ გადმოდის ცხელი წყალი	1. დაეცა მიწოდებული წყლის წნევა 2. მიწოდებულმა წყალმა დააზინძურა შემავალი ან გამომავალი მილი	1. აღადგინეთ მისაწოდებელი წყლის წნევა 2.1 გადახსენით ცივი წყლის მიწოდების სისტემაზე დამონტაჟებული უკუსვლის სარქველი, გახსენით წყლის მიწოდებისა და მოხმარების ონკანები და ორივე მიმართულებით ჰაერის შებერვით დაადგინეთ დაბრკოლების მიზეზი. 2.2. აღმოფხვრით დაზიანება
დაეცა დანადგარის ეფექტურობა, მზის აქტივობის მიუხედავად ისე ადარ ცხელდება წყალი, როგორც ადრე	1. მტვრით დაიფარა კოლექტორის მინა 2. Ca-ის ნადებით დაიფარა თბოიზოლირებულ ავზში მოთავსებული სპირალი 3. დაზიანდა კოლექტორის მინის ქვეშ მოთავსებული მზის ენერჯის შემკრების ლითონის ფირფიტის საღებავი	1. გაასუფთავეთ მინის ზედაპირი (აუცილებელია მინა იყოს ცივი) 2. მოხსენით თბოიზოლირებული ავზის ქვედა ნაწილში მოთავსებული სარქველი და სპირალზე ფრთხილი დაკაკუნებით და „შკურკი“ სპირალის ხვიებიდან მოაცილეთ ნადები, გამოწმინდეთ ავზი წყლის მყარი ნატანისაგან; 3. იმოქმედეთ მხოლოდ „ჩართე მზე“-ს სპეციალისტების კონსულტაციის მიხედვით
ღრუბლიან ამინდში და ცივ პერიოდებში წყალი არ ცხელდება სასურველ ტემპერატურამდე	დაზიანდა ელექტროგამახურებელი	გამოცვალეთ თბოიზოლირებული ავზის ქვედა ნაწილში დამონტაჟებული ელექტროსპირალი